ხელშეკრულება №141სშ

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

(CPV კოდი -55300000)

ქ. თბილისი „24“ „დეკემბერი“ 2014 წ.

საქართველოს ეროვნული არქივი (მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას №1 ტელეფონი: 238-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ა/ა №GE03LB0121160105327000, ს/ს "ლიბერთი ბანკი", კოდი: LBRTGE22, სკ-211358957) და სს. „გუდვილი“ -ჰიპერმარკეტი „გუდვილი დიღომი“ (მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ.#1, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №GE61TB3615336020100004, სს „თიბისი ბანკი" კოდი: TBCBGE22, ს/კ- 206343991) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად" წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნუგზარ გაბრიჭიძის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

(ალაფურშეტი) კვების პროდუქტების მიწოდება მომსახურება.

(CPV კოდი -55300000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2,989.09 (ორი ათას ცხრაას ოთხმოცდაცხრა ლარი და 09 თეთრი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება და მომსახურება დანართი №1-ის შესაბამისად, 2014 წლის 30 დეკემბერს 12:30 საათზე;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის ხარისხი

საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და დანართი №1-ში აღნიშნულ მაჩვენებლებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს/ენ საქართველოს ეროვნული არქივის საზოგადოებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოადგილე სოფიო ჯობავა.

6.3 .შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 1 (ერთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

7. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენელი მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, "საქართველოს საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე მიღებული შემოსავლებით.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების

განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების და მომსახურების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 7 (შვიდი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ეროვნული არქივი მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1, ტელეფონი: 238-14-25, საბანკო რეკვიზიტები: ანგ№ GE03LB0121160105327000 ს/ს"ლიბერთი ბანკი" კოდი LBRTGE22, სკ – 211358957	სს "გუდვილი"-ჰიპერმარკეტი „გუდვილი-დიღომი" მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ#1 საბანკო რეკვიზიტები: ანგ. № GE61TB3615336020100004 სს „თიბისი ბანკი", თბილისის ს/ც №7 გუდვილში კოდი: TBCBGE22 სკ _206343991

დანართი №1

დასახელება	ფასი	რაოდ	ჯამი
კანაპე			
კანაპე ლორით	1.80	30	54.00
კანაპე სულგუნით	1.80	30	54.00
კანაპე ორაგულით	1.80	30	54.00
კანაპე სიომგით	2.80	30	84.00
კანაპე ბოსტნეულით (სამარხვო)	1.50	40	60.00
ტარტალეტკა, ბუშე, ვალოვანი სალათით			
მინი ტარტალეტკა ხიზილალით	1.50	30	45.00
ტარტალეტკა ისპანახით	1.50	30	45.00
ტარტალეტკა სოკოთი	1.50	30	45.00
ტარტალეტკა ქათმის სალათით	1.50	30	45.00
ტარტალეტკა წითელი ფხალით	1.50	30	45.00
სალათები ფურშ. ჭურჭელში			
იტალ. ქათმის სალათი	2.00	30	60.00
ბერძნული სალათი	2.00	30	60.00
სალათი ცეზარი	2.00	30	60.00
სალათი ოლივიე (სამარხვო)	1.50	40	60.00
ნიგვზ. სიომგა აფრიკულად	1.80	30	54.00
აპერიტივი			
ნიგვზ. ბადრიჯანი გრილზე (სამარხვო)	1.00	30	30.00
სოკოს ქუდები ბოსტნეულით (სამარხვო)	1.00	30	30.00
სოკოს ქუდები სულგუნით	1.20	30	36.00
კარტოფილის კნედლი ზეთისხილით (სამარხვო)	1.00	30	30.00
კარტოფილი ფრი ბეკონით	1.30	30	39.00
იტალ. სტარტერი ბოსტნ. გრილზე (სამარხვო)	1.00	30	30.00
ცხელი კერძები			
ღორის ფილეს მწვადი	2.00	30	60.00
ქათმის ფილეს მწვადი	1.50	30	45.00
სიომგას მწვადი კრევეტით	3.00	30	90.00
ბოსტნეულის მწვადი (სამარხვო)	1.00	30	30.00

ღვეზელები			
კრეპე საქ. რაგუთი	1.00	30	30.00
მინი ნახ. ფენოვანი ხაჭაპური	0.60	30	18.00
მინი კუბდარი ქათმის ხორცის	0.60	30	18.00
მინი სოკოს ღვეზელი (სამარხვო)	0.60	30	18.00
მინი მეგრული ხაჭაპური	3.90	30	117.00
მინი ხორცის ღვეზელი	0.70	30	21.00
მინი ლობიანი (სამარხვო)	0.50	30	15.00
დესერტები			
მინი ტორტიკების ასორტი ფურშ. ჭურჭ	1.50	60	90.00
ეკლერი შავი	0.80	30	24.00
ბინე კარამელით	0.70	30	21.00
ტარტალეტკა ხილის (სამარხვო)	0.80	70	56.00
გოზინაყი	1.50	80	120.00
ხილი			
ხილის ასორტი 3-იან კალათზე	150.00	1	150.00
სნეკი			
ჩურჩხელა	4.50	30	135.00
სასმელი			
ჩაი (შავი, მწვანე..) (ლიმონი)	1.00	50	50.00
ყავა ნესკაფე	1.50	50	75.00
შაქარი	0.20	70	14.00
თეთრი ღვინო წინანდალი	10.27	7	71.89
შავი ღვინო საფერავი	13.01	8	104.08
წვენი ალუბლის	3.79	14	53.06
წვენი ფორთოხლის	3.79	14	53.06
გაქირავება			
სუფრა	20.00	4	80.00
სადგამები (საფურშეტე)	20.00	4	80.00
თეფში	0.50	70	35.00
ღვინის ჭიქა	0.50	70	35.00
წვენის ჭიქა	0.50	70	35.00
ყავა ჩაის ჭიქა	0.50	70	35.00

მომსახურე პერსონალი	60.00	2	120.00
დამხმარე პერსონალი	20.00	1	20.00
ტრანსპორტირება (თბილისი)	50.00	1	50.00
			2989.09

სულ დღგ-ს ჩათვლით: 2,989.09

შემსყიდველი

საქართველოს ეროვნული არქივი
მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა ფშაველას #1,
ტელეფონი: 238-14-25,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ№
GE03LB0121160105327000
ს/ს"ლიბერთი ბანკი" კოდი LBRTGE22,
სკ – 211358957

მიმწოდებელი

სს "გუდვილი"-ჰიპერმარკეტი „გუდვილი-დიღომი"
მისამართი: ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ#1
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №
GE61TB3615336020100004
სს „თიბისი ბანკი", თბილისის ს/ც №7
გუდვილში კოდი: TBCBGE22
სკ _ 206343991